



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 88  
09/01/2018

ქალაქი ბათუმი

88-05-4-201801090909



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით აშენებული სოციალური სახლის საცხოვრებელი ფართის ეკომიგრანტ ოჯახებზე გადაცემის მიზნით ეკომიგრანტი ოჯახების შერჩევის უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 აპრილის №321 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით აშენებული სოციალური სახლის საცხოვრებელი ფართის ეკომიგრანტ ოჯახებზე გადაცემის მიზნით ეკომიგრანტი ოჯახების შერჩევის უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 აპრილის №321 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

**ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მალხაზ სალვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) სოფიო მურვანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის - კომისიის წევრი;

ე) დავით სამნიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია - ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ვ) გურანდა დოლიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, სპორტის, განათლებისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ზ) ოთარ დიასამიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

თ) ბესარიონ მარკოიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავრი სპეციალიტი - კომისიის წევრი;

ი) რამაზ ჯინჭარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - კომისიის წევრი;

კ) იამზე ზაქარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის პრივატიზების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ლ) მამუკა ფუტკარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.”.

**ბ) ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„2. კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით (განცხადებების რეგისტრაცია და ა.შ) შეიქმნას კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიანა ლორთქიფანიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ განყოფილების II კატეგორიის (III რანგი) უფროსი სპეციალისტი - სამდივნოს ხელმძღვანელი;

ბ) ნონა ქოქოლაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი;

გ) ირმა აბაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების II კატეგორიის (III რანგი) უფროსი სპეციალისტი - იურისტი;

დ) მედეა გურგენიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საქმისწარმოების განყოფილების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი.”.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა